MES 5 22 0001184552

29/09/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 09 და 14 სექტემბერს**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო ) წევრები:**

**ნანა ყუფუნია** - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/ საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**მარიამ ჩაგელიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
**მაგდა ბოლოთაშვილი** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;

**ნინო კაკულია** - აზიის განვითარების ბანკის თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის საჯარო-კერძო პარტნიორობის სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
**ნინო ველთაური** - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე** - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს სტუდენტური სერვისების მენეჯერი / საბჭოს წევრი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:**

**ნანა დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**ლონდა მინდიაშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ნინო სტეფანიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**ნია გუგუნავა -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
**მაყვალა დარსანია -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
**ნათია მჭედლიძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მაია აბდალაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

შორენა ხუბუნაია
თამარ გიორგობიანი
ქეთევან გელაშვილი
ალექსანდრე ჩალათაშვილი
იზაბელა ფერიშვილი
ნინო გზირიშვილი
თინა შელია
ნინო ბოკუჩავა
თამარ ახალაძე
მარიმ გელდიაშვილი
ეკატარინე ნანობაშვილი
ირმა არსენაშვილი
გენადი კვერენჩხილაძე
ხათუნა წერეთელი
სოფიო გოხელაშვილი

ქეთევან ჯანელიძე
ლევან მადათოვი
ელენე ბოდავალი
გიორგი ხაზეიშვილი
ალექსანდრე კეკენაძე
ნინო ვასაძე
დავით გუდაძე
ბესიკ თეთვაძე

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**

**თეიმურაზ ასათიანი -** დირექტორი;
**ნათია გაგლოევი -** ხარისხის მართვის მენეჯერი;
**მარიამ ჩუბინიძე -** ხარისხის მართვის მენეჯერის თანაშემწე.

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**მადონა მიქელაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი;
**ჯილდა აბაშიძე-** უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.**

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგის საკითხის განხილვა.

**1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ მიმართა ცენტრს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა, რაზეც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა, თუმცა ინფორმაციის სახით აღნიშნა, რომ საბჭოს აპარტის მიერ საბჭოსათვის მიწოდებული იყო, როგორც ექსპერტთა დასკვნა, ასევე წარმოების მასალები, მათ შორის, შესაბამისობის გეგმა, რომელიც დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა, თუმცა სხდომის წინა დღეს, დღის ბოლოს, ცენტრში სამსახურის უფროსის სახელზე შემოვიდა შეცვლილი შესაბამისობის გეგმა და დამატებითი დოკუმენტები, რომლის მოწოდებიც უფლებაც ცენტრს საბჭოსთვის არ ჰქონდა, რადგან ავტორიზაციის დებულების თანახმად, 7 დღით ადრე უნდა მიეწოდოს საბჭოს მასალები. ამავე დროს, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წერილში არ იყო მითითებული, ვისთვის იყო განკუთვნილი ეს მასალები. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, მიეცათ უფლება დაწესებულებისთვის, თავისi პოზიციის წარდგენისას აღნიშნულთან დაკავშირებითაც მიეწოდებინათ ინფორმაცია საბჭოს წევრებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ შორენა ხუბუნაიას და სთხოვა, წარედგინა საკითხი.
ექსპერტთა ერთ-ერთი ჯგუფის თავმჯდომარე შორენა ხუბუნაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 27 მაისის №№ 548631, 548637, 548635, 548643 ბრძანებების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტები განხორციელდა 2022 წლის 13-17 ივნისს, სამ ლოკაციაზე: მცხეთის რაიონის სოფელი წინამღვრიანთკარი, დაბა სტეფანწმინდა, დაბა თიანეთი.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 2022 წლის 13, 14, 15, 16 და 17 ივნისს ექსპერტთა ჯგუფებმა ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელეს ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფები გაეცნენ ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტს მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, კურსდამთავრებულებს (12 პირი), პროფესიულ სტუდენტებს (32 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 42 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (11 პირი), დათვალიერებულ იქნა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები, მიწის ნაკვეთები,

ხეხილის ბაღები, ვენახი, სათბურები, ფუტკრის მოვლის ადგილები, ღვინის მარანი, რის შედეგადაც სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეავტორიზაციის მიზნებისთვის კოლეჯს წარმოდგენილი აქვს 22 დასახელების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, განხორციელების ფორმის და მისამართის მიხედვით. მათი საერთო
რაოდენობა შეადგენს **32-ს,** აქედან ახალი პროგრამა, რომლის დამატებასაც კოლეჯი გეგმავს, არის აგრომექანიზაცია. იქვე აღინიშნა,რომ წარმოდგენილი პროგრამებიდან კოლეჯში ღონისძიების ორგანიზების პროგრამაზე სასწავლო პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, პროგრამა პირველ მიღებას მიმდინარე პერიოდში ახორციელებს.
პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამებიდან მოდულური მიდგომით დაგეგმილია 15 პროგრამის განხორციელება (ლოკაციის მიხედვით - 22), ინტეგრირებული გზით - ხუთის (ლოკაციის მიხედვით - 7), ხოლო დუალური მიდგომით - 8 (ლოკაციის მიხედვით - 9 პროგრამა).
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, 4.1.1. კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგან მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები რიგ შემთხვევებში საჭიროებს დაწუსტებას, პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტის მხრიდან ყურადღება გამახვილებული იყო საქმისმწარმოებლის, დამლაგებლის/მძღოლის პოზიციებზე. მისი თქმით, საქმისმწარმოებლის პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილია „უმაღლესი განათლება ან/და სერტიფიცირება“. ექსპერტის პოზიციით, სასურველია კოლეჯმა დააკონკრეტოს რას გულისხმობს სერტიფიცირებაში და ამ მხრივ, გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რადგან გრადაცია უმაღლეს განათლებასა და სერტიფიცირებას შორის საკმაოდ დიდია, იმის გათვალისწინებით, რომ კვალიფიკაციის ველში მოთხოვნილია ფილოლოგიის, სამართალმცოდნეობის ან/და ოფის-მენეჯერის სოფისე საქმის სპეციალობა. მანვე აღნიშნა, რომ აღნიშნული სპეციალობების ფლობა არ გულისხმობს საქმისწარმოების საკითხის ცოდნას, შესაბამისად, რეკომენდებულია, კოლეჯმა დააზუსტოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ ასევე ისაუბრა იმაზე, რომ რიგი პოზიციების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლებოდა იმგვარად განსაზღვრულიყო, რომ კოლეჯს შეძლებოდა შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების აყვანა. მაგალითად, დამლაგებლის/მძღოლის საკვალიფიკაციო მოთხოვნად მითითებულია პროფესიული ან/და სრული ზოგადი განათლება, ხოლო კოლეჯის ერთ-ერთი მძღოლი ფლობს საბაზო (არასრული საშუალო) განათლებას, რის გამოც ის ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ დადგენილ
საკვლაიფიკაციო მოთხოვნებს.
ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით კი, რიგ შემთხვევებში არასწორადაა გაწერილი ანგარიშგების კომპონენტიც. მაგალითად, მძღოლი ანგარიშგებას ახდენს დირექტორის წინაშე, მაშინ როდესაც მძღოლის უშუალო ხელმძღვანელი სამეურნეო მართვის მენეჯერია. მძღოლის ერთ-ერთ ფუნქციად კომპეტენციის ფარგლებში შემოსული კორესპოდენციების განხილვა და შესაბამისი პასუხების მომზადებაა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა ექსპერტ შორენა ხუბუნაიას: როგორ ფიქრობთ, მნიშვნელოვანია განათლებაში დაზუსტდეს კვალიფიკაცია, თუ საქმიანობის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება უფრო რელევანტურია? რატომ არ არის რეკომენდაცია ამ მიმართულებით.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ საპასუხოდ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, დაწესებულებამ განსაზღვროს სწორი ორიენტირი კონკრეტული პოზიციისთვის. ექსპერტი

მიიჩნევს, რომ საქმისმწარმოებლის პოზიციისთვის არ არის აუცილებელი მოთხოვნა იყოს უმაღლესი განათლება, რადგან ლოკალურ დონეზე აღნიშნული პროფესიისთვის განსაზღვრულია პროფესიის სტანდარტი.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ, ექსპერტ შორენა ხუბუნაიას სთხოვა, მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ, თუ რატომ შეფასდა 4.1.1. კომპონენტი მეტწილად შესაბამისად, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ კომპონენტთან მიმართებით, ისინი საუბრობენ რეგულაციების დონეზე, ხოლო შემდეგ ინდიკატორზე მათ აქვთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები.

შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ რიგი პოზიციებისთვის შესაძლოა სხვაგვარად ყოფილიყო საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჩამოყალიბებული. ამ მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ განსაზღვროს დაძლევადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში შეინიშნებოდა ინტერესთა კონფლიქტის საკითხები და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან 4.1.1.3. კომპონენტი მეტწილად დამაკმაყოფილებლად შეფასდა და გაიცა რეკომენდაცია, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით,დაწესებულებამ გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს - „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“. იქვე აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ გამოცემულ იქნა აქტი, რითაც შევიდა ცვლილება ამ დოკუმენტში ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრის ნაწილში და იქიდან ამოღებულ იქნა ხარისხის მართვის მენეჯერის ეს ფუნქციები: კერძოდ, ეს ეხებოდა სასწავლო გეგმის შემუშავებას სტუდენტებისთვის და ა.შ.

პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ ისაუბრა იმაზე, რომ 4.1.2.3 კომპონენტი მეტწილადაა დაკმაყოფილებული, პერსონალის ნაწილის კვლაიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (ლოჯისტიკის სპეციალისტი, შესყიდვების სპეციალისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერი, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი). მისი მხრიდან აღინიშნა, რომ ლოჯისტიკის სპეციალისტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კოლეჯში მოქმედი რეგულაციით განსზღვრულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის კვალიფიკაცია უნდა იყოს საბუნებისმეტყველო, ფინანსების, ეკონომიკური ან/და ბიზნეს ადმნისტრირების, ლოჯისტიკის მიმართულებით. რეალურად კი კოლეჯში დასაქმებულ პირს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების კვლიფიკაცია.

შესყიდვების სპეციალისტს, რეესტრის წარმოების სპეციალისტს, კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერს, სასწავლო - საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს პირადი საქმეებით არ უდასტურდებათ სამსახურში აყვანის მომენტისათვის სამუშაო გამოცდილების არსებობა დაწესებულების მიერ განსაზღვრული ოდენობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისთვის განსზღვრული იყო ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა და ასევე სამწლიანი სამუშაო გამოცდილების ქონა, დასაქმებული პირი კი იყო სტუდენტი, თუმცა კოლეჯში ყოფნის პერიოდში შეიცვალა კადრები და გამოიცა ბრძანება ახალი თანამშრომლის მიღების შესახებ. ახალ თანამშრომელს ჰქონდა კვალიფიკაცია ფსიქოლოგიის მიმართულებით, თუმცა დოკუმენტით მას სამწლიანი სამუშაო გამოცდილება არ უდასტურდებოდა, მხოლოდ რეზიუმეში ჰქონდა მითითებული, მაგრამ რეზიუმე არ არის სამართლებრივი დოკუმენტი, ამ გარემოებამაც გავლენა იქონია სტანდარტის შეფასებაზე.

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს არ ჰქონდა გავლილი შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული პროგრამა და არ უდასტურდება კვალიფიკაცია, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონოდა შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის

მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განხორციელდა საკადრო ცვლილება და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე დანიშნულ იქნა ამავე კოლეჯის სხვა პოზიციაზე დასაქმებული პირი, რომელსაც უდასტურდება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნები.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ მეხუთე სტანდარტის 5.1.1.5. კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ, კოლეჯს ჰყავს 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ლოკაციების მიხედვით ერთი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლა საკმარისი არ არის.
ექსპერტმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჯამურად სამივე ლოკაციაზე ასზე მეტი დასაქმებული ჰყავს, შესაბამისად, კოლეჯს მინიმუმ ორი სპეციალისტი უნდა ჰყავდეს. საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა იკითხა, სამ ლოკაციაზე დასაქმებულთა რაოდენობა რომ იყოს ასზე ნაკლები, შრომის უსაფრთხოების ერთი სპეციალისტის ყოლა საკმარისი იქნებოდა თუ არა, რაზეც ექსპერტმა ლევან მადათოვმა უპასუხა, რომ შრომის უსაფრთხოება მოიცავს რისკების შეფასებასა და შესაბამისი ინსტრუქტაჟების ჩატარებას, შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ შენობაში და პერიოდულად ატარებდეს შემოწმებას ლოკაციების მიხედვით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 5.1.2.3. ინდიკატორი მეტწილადაა შეფასებული, რადგან დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული არ არის კომპეტენტურ ორგანოსთან. მისი თქმით, ეს კომპონენტი იმიტომ შეფასდა მეტწილად, რომ როდესაც დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინა, ასევე წარმოადგინა შეთანხმებული გეგმაც.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარებისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. ამრიგად, ამ მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელ ი რეკომენდაცია:** რეკომენდებულია, დაწესებულებამ, ჯერ დაამტკიცოს პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვით წარმართოს პროცედურები, ასევე, რეკომენდებულია, დაწესებულებამ სწორად შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც დაეხმარება, ადეკვატური ღონისძიებები განახორციელოს ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისთვის, კერძოდ: დაწესებულების ძლიერ მხარედ განსაზღვრული ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი პროფესიული პროგრამები, პროგრამაზე ადაპტირებული გარემო და განხორციელება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, სახელოსნოები, კადრების განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა, ამასთან, სუსტ მხარეებში მოცემულია მოდულური პროგრამებისთვის არასაკმარისი სახელოსნოები, კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების სიმცირე, რაც ურთიერთწინააღმდეგობაშია. კოლეჯს შესაძლებლობებში განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა, რაც ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა და არა შესაძლებლობა.
საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტ შორენა ხუბუნაიას: თუ მარეგულირებელი დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა იყო ერთ დღეს დამტკიცებული, რატომ განიხილეს აღნიშნული განმავითარებელი და არა შესაბამისობის რეკომენდაციის ჭრილში, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ დოკუმენტის დამტკიცებამდე დაწესებულებაში მოქმედებდა სტრატეგიული დაგეგმის წესი, მაგრამ ის არ იყო პროცედურული დოკუმენტი და ახალი სტანდარტების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. თუმცა, დაწესებულების ეს პოზიცია ექსპერტების მიერ იქნა გაზიარებული, რადგან ისინი ახდენდნენ სტრატეგიული დაგეგმის დოკუმენტის მოდიფიცირებას და პარალელურად მუშაობდნენ ახალ რეგულაციაზე, რეკომენდაცია კი ხარისხის მოთხოვნების გათვალისწინებით გაიცა.

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით აღნიშნა, რომ დამაკმაყოფილებელია. დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა ექსპერტების მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია,** კ ერძოდ: რეკომენდებულია დაწესებულებამ ზუსტად განსაზღვროს წლიური სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული პირები, მაგალითად, 2022 წელს სტუდენტებისა და მსმენელების მიღება-ჩარიცხვაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაცია, მოცემული ჩანაწერით ვერ დგინდება პროცესზე პასუხიმგებელი პირი/პირები. აქტივობის მონაწილე პირები არიან ერთი და იგივე პირები - ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის სპეციალისტი, აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ პროცესების მართვის პრინციპებისა და მიდგომების გაანალიზების საჭიროებაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა 3.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია**, კერძოდ: რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტს (შინაგანაწესი) და ჩანაწერი მოიყვანოს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან, კერძოდ, მოცემულია ჩანაწერი პროფესიული სტუდენტის მიერ სილაბუსის გამოთხოვისა და გაცნობასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებად განსაზღვრულია სწავლის საფასურის გადახდა. რეკომენდებულია, დაწესებულებამ სწორად განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის წესი დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სტუდენტის, ისე პარტნიორი კომპანიის ინტერესებიც. ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უნდა გადახედოს მოდულის/სწავლის შედეგის გადაბარების პროცესს და განსაზღვროს გონივრული ვადები, კერძოდ: კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტის შედეგების დადასტურებისა და შეფასების გასაჩივრების პროცედურები. თუ მოდული სხვა მოდულის წინაპირობაა, შეფასების შედეგი სტუდენტს ეცნობება შეფასების თარიღიდან ორი დღის ვადაში, ხოლო თუ სხვა მოდულის წინაპირობა არ არის - ერთი კვირის ვადაში, თუმცა იმავე რეგულაციის ერთ-ერთი პუნქტი იქვე ამბობს, რომ შეფასება სტუდენტს ეცნობება 3 სამუშაო დღის ვადაში.
ექსპერტების მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულებამ უნდა დაარეგულიროს საქართველოს ფარგლებს გარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პირთა კოლეჯში ჩარიცხვის პირობები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ასევე კოლეჯმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ტერიტორიულად ახლოს მდებარე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და არა დიდ მანძილზე განთავსებულ კოლეჯთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შემთხვევაში მობილობის უზრუნველსაყოფად.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 3.2.1.5. ინდიკატორი შეფასდა, როგორც დამაკმაყოფილებელი. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე, დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა კმაყოფილების კვლევის ობიექტურობისა და სანდოობის, ასევე ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვა იყოს ანონიმური (მაგალითად, პროფესიული განათლების მასწავლებლის კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარი) და კითხვების რაოდენობა ლოგიკური (მაგალითად, პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის კითხვარში კითხვათა რაოდენობაა 48). ერთი შეფასების ფარგლებში ამდენი კითხვის არსებობა არარელევანტურია და გამოიწვევს რესპონდენტთა არაგულწრფელ შეფასებებს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ანალიტიკისა და რეპრეზენტაბელურობის ნაწილი მეტად აქვს განსავითარებელი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 5.2.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცედურები. სისტემაში ინფორმაციის ასახვის თაობაზე ზოგადი ჩანაწერი მითითებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის წესში. ამ მხრივ გაიცა **განმავითარებე ლი რეკომენდაცია,** კერძოდ: რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშავოს პროცედურული დოკუმენტი.
5.2.3.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და იძლევა ინფორმაციას დაწესებულების სხვა სასწავლო ლოკაციების შესახებ (დაბა თიანეთი, სტეფანწმინდა). აღნიშნულის თაობაზე ზოგადი ინფორმაცია იძებნება პროგრამის კატალოგში. რეკომენდებულია, თვალსაჩინოდ განთავსდეს ინფორმაცია პროგრამის განხორციელების ადგილების თაობაზე, რაც გაზრდის დაწესებულების ცნობადობას, საზოგადოების ინფორმირებულობას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.
ექსპერტის მხრიდან პრეზენტაციის ფარგლებში აღინიშნა, რომ 5.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორცილებს სწავლებას, თუმცა კოლეჯი საკუთარ ძლიერ მხარედ ასახელებს უცხოელ პარტნიორებს და შესაძლებლობად განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას. შეაბამისად, რეკომენდებულია, კოლეჯმა შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი, რაც გააადვილებს უცხოელი პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე წარმოადგინა მცხეთის ლოკაციაზე ქიმიის ლაბორატორიის ფოტოკოლაჟი.
ინსტიტუციური საკითხების განხილვის შემდეგ შორენა ხუბუნაიამ განიხილა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მისი ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა შეფასებული.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მებაღეობა -** ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის დუალური, ხოლო განხორცილების ადგილი არის მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი.
2.2.1. კომპონენტი შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისობა", ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებს, რომელთაც ახლავთ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, ფორმაში „აღნიშვნა საწარმოში არსებობის შესახებ", რიგი მატერიალური აღჭურვილობა აღნიშნულია, როგორც „არ არის საწარმოში" ან არ ფიქსირდება აღნიშვნა მათი არსებობის შესახებ. კოლეჯის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ აღნიშვნის არარსებობა ან უარყოფითი აღნიშვნა ნიშნავს, რომ ეს რესურსი სასწავლო საწარმოში არ არსებობს.
პროგრამის განხილვისას აღინიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის მე-6 აქტივობა გულისხმობს ავტორიზაციის სტანდარტებთან მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოსაყვანად 3 ქვეაქტივობას, კერძოდ:
1. პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეკრულებისათვის დანართების დართვა, ხელშეკრულებების სრულყოფა, ტექნიკური უზუსტობების გასწორება (2.2.1.1.) ინდიკატორი;
2. ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება (2.2.1.1.) ინდიკატორი;

3. პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის მიერ პარტნიორი ორგანიზაციისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა (2.2.1.1.) ინდიკატორი, აქტივობის შესრულების პერიოდი-2 თვე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისათვის იზიარებს პირველ და მეორე აქტივობას, ხოლო არ ეთანხმება მესამე აქტივობას და არ მიიჩნევს მიზანშეწონილად ისეთ სასწავლო საწარმოსთან კოლეჯის თანამშრომლობას, რომელსაც არ გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო რესურსი. კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაძლებელია ისეთი ახალი პარტნიორის მოძიება და თანამშრომლობის დაწყება, რომლის ბაზაზეც სრულად იქნება უზრუნველყოფილი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა დასვა კითხვა: აღნიშნულ დუალურ პროგრამას თუ ჰყავს კურსდამთავრებული, ჰყავთ თუ არა აქტიური სტუდენტები და ხომ არ უნახავთ ექსპერტებს სასწავლო გეგმა. მისი თქმით, მართალია, ახლა უკვე შესულია დადგენილება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესახებ, მათ შორის სასწავლო საწარმოს სტატუსის მინიჭების ან ჩამორთმევის შესახებ წესი, მაგრამ ამ პროგრამების დამატების პროცესში ეს წესები არ მოქმედებდა. შესაბამისად, ის პროგრამები და ყველაფერი, რაც რეგულირდებოდა, დაფუძნებული იყო იმ რეკომენდაციებზე, რაც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ჰქონდა გაცემული. ამ რეკომენდაციების თანახმად, სასწავლო გეგმით განსაზღვრული 51% სწავლის შედეგებისა უნდა ყოფილიყო გატანილი სასწავლო საწარმოში. მან დასვა კითხვა: ხომ არ უნახავთ ექსპერტებს სასწავლო გეგმის განაწილება. ექსპერტმა უპასუხა, რომ განაწილებული და პროგრამაზე დართული იყო, რესურსების ნუსხაც ახლდა. რესურსების ნაწილში ექსპერტმა აღნიშნული პროგრამისთვის წარმოადგინა ფოტოკოლაჟი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი**
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ პროგრამის წარდგენის ფარგლებში აღნიშნა, რომ განხორცილების ფორმა არის მოდულური, განხორციელების ადგილი - სოფელი წინამძღვრიანთკარი, მოთხოვნილი კვოტის რაოდენობა - 30, შეფასება კი - მეტწილი შესაბამისობა (2.2.1.4,2.4.2.1) ინდიკატორები.
მისი მხრიდან აღინიშნა, რომ 2.2. კომპონენტი შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისობა", ვინაიდან ინდიკატორი 2.2.1.4. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს კვალაიფიკაცია/კომპეტენციასთან ერთად უნდა უდასტურდებოდეს დარგში არანაკლებ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც ვერ დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში წარმოდგელი დოკუმენტაციით.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ ისაუბრა იმაზე, რომ 2.4. შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისობა", ვინაიდან ინდიკატორი 2.4.2.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმა და შესყიდვის დოკუმენტები იყო არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოდგენილი. შესაბამისად, ისინი ინტერვიურებას იყვნენ მოკლებული. ეს მიიღეს, როგორც მოცემულობა და ექსპერტებმა წარმოადგინეს თავიანთი პოზიცია, კონკრეტულად ამ არგუმენტირებული პოზიციის დროს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-7 აქტივობა გულისხმობს ავტორიზაციის სტანდარტებთან აღმზრდელის პროფესიულის საგანმანათებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას.

მოცემული აქტივობა მოიცავს 2 ქვეაქტივობას, კერძოდ: პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება, შეფასების სისტემის ვალიდურობის უზრუნველყოფა, აქტივობის შესრულების პერიოდი: 1 თვე.
2.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია პირველი აქტივობა და შესრულებისათვის დადგენილი ერთი თვე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია. ამ ვადაში შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა.
2.4.2.1. ინდიკატორის მოთხოვნათა შესრულებისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულია მეორე აქტივობა, თუმცა შესრულებისთვის დადგენილ ერთ თვეში ვერ იქნება უზრუნველყოფილი შეფასების სისტემის ვალიდურობა. ამ ვადაში შესაძლებელია მოცემული ამოცანის შესრულებისათვის აქტივობათა დაგეგმვა და ნაწილის შესრულება, მათ შორის, შესაძლებელია პერსონალის ტრენინგის ჩატარება შეფასების სისტემაში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ არასათანადოდაა ფორმულირებული მოცემული აქტივობა, ვინაიდან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი არის ვალიდური შეფასების სისტემის არსებობა, აღნიშნული არ წარმოადგენს კონკრეტულ აქტივობას, არამედ, ეს არის უწყვეტი პროცესი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას აძლევს კოლეჯს, სათანადოდ იქნას გაანალიზებული მოცემული კომპონენტი და მისი მნიშვნელობა, ხოლო აქტივობის შესრულების დაწყებისა და შუალედური შედეგების იდენტიფიცირებისათვის გამიყენოს ავტორიზაციის სტანდარტებთან მეტწილი შესაბამისობისათვის ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული ვადა - 6 თვე. ექსპერტმა წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური რესურსის ფოტოკოლაჟი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასმელების წარმოება**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნიამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასმელების წარმოება" წარდგენისას აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური, განხორციელების ლოკაცია - სოფელი წინამძღვრიანთკარი, მოთხოვნილი კვოტა - 20.
ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ 2.2. კომპონენტი შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისობა", ვინაიდან 2.2.1.1. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არასათანადოდაა უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკის ორი ობიექტის წარმომადგენელს. ერთი ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ვერ დაუშვებს პროფესიულ სტუდენტებს სასმელების წარმოების პროცესში. ისინი შეძლებენ პროცესის მიმდინარეობის ყურებას ოპერატორის ზედამხედველობის ქვეშ. ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე, თუ როგორ ხდება პროფესიული სტუდენტების შეფასება, მან აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები აღწერენ წარმოების პროცესს. შესაბამისად, ის სწავლის შედეგები, რაც კოლეჯის მიერ განაწილებულია მოცემულ სასწავლო საწარმოზე, ვერ იქნება მიღწეული.
ექსპერტმა შორენა ხუბუნიამ აღნიშნა, რომ 2.4. შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისობა", ვინაიდან ინდიკატორი 2.4.1.3. შეფასდა მეტწილად. სასწავლო პროცესში არასათანადოდ გამოყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. მან აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგები არ მიიღწევა მოდულის შესაბამისად, რაც დადასტურებულია პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან ინტერვიურებისას.
პრეზენტაციის ფარგლებში აღინიშნა, რომ წარმოდგენილია ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მე-8 აქტივობა გულისხმობს ავტორიზაციის სტანდარტებთან სასმელების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

შესაბამისობაში მოყვანას. მისი თქმით, მოცემული აქტივობა მოიცავს 1 ქვეაქტივობას, კერძოდ, ახალი პარტნიორი ორგანიზაციის მოძიებას. აქტივობის შესრულების პერიოდი: 2 თვე.
საბჭოს ფარგლებში აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისათვის იზიარებს კოლეჯის პოზიციას. კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაძლებელია ისეთი ახალი პარტნიორის მოძიება და თანამშრომლობის დაწყება, რომლის ბაზაზეც სრულად იქნება უზრუნველყოფილი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით.
საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა დასვა კითხვა: მოდულის რა ნაწილია გატანილი საწარმოო ობიექტზე, რაზეც დარგის ექსპერტმა სოფიო გოხელაშვილმა გასცა პასუხი და აღნიშნა, რომ ბევრი სწავლის შედეგია გატანილი საწარმოო ობიექტზე. მისი თქმით, საწარმოო პრაქტიკის წარმომადგენელმა სატელეფონო გასაუბრებისას მათ დაუდასტურეს, რომ სტუდენტები მონაწილეობას ვერ იღებენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში და სტუდენტები მხოლოდ დაკვირვების პროცესში არიან.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტზე ის მოდულებია გატანილი, რომლის სწავლის შედეგის მიღწევაც კოლეჯის ბაზაზე შეუძლებელია. კოლეჯში არ აქვთ სასმელების საწარმოო ხაზი, ამიტომ ეს კონკრეტული მოდულები გატანილია საწარმოო ობიექტზე.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სასმელების წარმოება" ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაციები:**
2.4.2.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში სრულფასოვნად შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის შინაარსობრივ ნაწილში და ხელი შეუწყოს შეფასების ინსტრუმენტის სრულ შესაბამისობას მოდულის სწავლის შედეგების შინაარსთან.
2.4.2.2. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ სწორად შეაფასოს არსებული რისკები და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები დაგეგმოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების სრულფასოვანი შეფასება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია დაგეგმილია 2023 წელს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმებული შეფასების მტკიცებულებები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამებოდა შეფასების მიმართულებას. მაგალითად, მოდულის „ლუდის ბადაგის წარმოება" შეფასების მიმართულება-პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, შეფასების ინსტრუმენტი - ტესტი, შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია თეორიული ცოდნის შემოწმებისათვის.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ ასევე წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის ფოტოკოლაჟი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მებოსტნეობა**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ განხორციელების ფორმა არის მოდულური, განხორციელების ლოკაცია - სოფელი წინამძღვრიანთკარი, მოთხოვნილი კვოტა კი არის 30.
ექსპერტის ინფორმაციით, დასკვნაში პროგრამის 2.2., 2.3. და 2.4. კომპონენტები შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან ინდიკატორები 2.2.1.1, 2.2.1.4, ასევე, 2.3.1.2., 2.4.1.3. და 2.4.2.1. ინდიკატორები შეფასდა, „როგორც მეტწილად შესაბამისი". თუმცა, ამ ინდიკატორების შეფასება დასკვნის პროექტში იყო, როგორც ხარვეზი/სტანდარტთან შეუსაბამო. ინდიკატორი 2.2.1.1 არ არის დაკმაყოფილებული, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინდიკატორი 2.2.1.4 არ არის

დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ინდიკატორი 2.3.1.2 არ არის დაკმაყოფილებული, კოლეჯი არასათადოდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც გამოყენებული უნდა იქნეს პროგრამის სათანდოდ განხორციელებისათვის. ინდიკატორი 2.4.1.3 არ არის დაკმაყოფილებული, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, თუმცა პროფესიული სტუდენტების სწავლებისას არ გამოყენება პრაქტიკული სწავლების მიდგომები, კერძოდ პრაქტიკული სწავლის შედეგების სწავლება არ ხორციელდება პროგრამის მიხედვით, რაც დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას და სასწავლო გარემოს (სათბურები) დათვალიერებით. ინდიკატორი 2.4.2.1 არ არის დაკმაყოფილებული, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური,

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სურდათ პრაქტიკული კომპონენტის გავლა. ექპსერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები პროგრამის შინაარსთან და განხორციელების მიდგომებთან დაკავშირებით. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი ინფორმაციით, პრაქტიკული სწავლება მხოლოდ დუალური მიდგომით სწავლების დროს იყო შესაძლებელი. მათ ასევე ისაუბრეს სასწავლო ექსკურსიით სხვა ობიექტზე ვიზიტის თაობაზე, თუმცა ეს მხოლოდ სასწავლო ექსკურსია იყო. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. ინტერვიურებისას მათ ვერ ახსნეს, რატომ არ უტარდებოდათ პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტი. შესაბამისად, პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგები არ მიიღწევა სათანადოდ. პროგრამის ხელმძღვანელი არის აგრონომიის ბაკალავრი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მას არ უდასტურდება კოლეჯის რეგულაციებით მოთხოვნილი სათანადო სამუშაო გამოცდილება. სამოტივაციო წერილში თავად აღნიშნავს, რომ პროფესიული გამოცდილება არ აქვს და სურს მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს კოლეჯში. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის N04-65 ბრძანებით დამტკიცებული „საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლება მოვალეობების“ 46-ე მუხლის მიხედვით, პროფრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: ა) შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და კომპეტენცია; ბ) არანაკლებ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება დარგში; გ) ქართული ენის ძალიან კარგად ცოდნა; დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს პროფესიული გამოცდილება. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზნობრივი კითხვების დასმის გზით განახორციელა ინტერვიურება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათ მიერ კმაყოფილების კითხვარების შევსების, მეცადინეობებზე კოლეჯის წარმომადგენელთა დასწრების ფაქტები. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესებას მოითხოვენ. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, თუმცა პროფესიული სტუდენტების სწავლებისას არ გამოყენება პრაქტიკული სწავლების მიდგომები, კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციით გადმოგზავნილი, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 25 აგვისტოს N04-143 ბრძანებით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დამტკიცებული ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმით, რომლის მე-9 აქტივობა გულისხმობს ავტორიზაციის სტანდარტებთან მებოსტნეობის პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას, დაგეგმილია 3 ქვეაქტივობა, კერძოდ , 1. სათბურების აღდგენა (ინდიკატორი 2.2.1.1) (ინდიკატორი 2.4.2.1) (ინდიკატორი 2.4.1.3); 2. პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება (ინდიკატორი 2.2.1.4 ); 3. სტუდენტების გამოკითხვის ჩატარება და შედეგებზე დროული რეაგირება, შეფასების სისტემის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. (ინდიკატორი 2.3.1.2)"; აქტივობების შესრულების პერიოდია - 2 თვე (ზოგ შემთხვევაში 6 თვე). გამოყოფილია შესაბამისი რესურსები, მათ შორის ფინანსური რესურსი, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი რეალისტურად მიიჩნევს მოცემულ ვადაში სათბურების აღდგენას და კომპონენტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი", თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2021-2022 სასწავლო წლის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს არ უტარდებოდათ პრაქტიკული მეცადინეობა და პრაქტიკული უნარების შეფასების საკითხი არასარწმუნო/არასანდოა, პროგრამის მოცემული ჯგუფი უკვე ასრულებს სასწავლო პროცესს და პროგრამის განხორციელების გაუმჯობესება ვერ იქონიებს შესაბამის გავლენას. ამასთან, საყურადღებოა, რომ საუბარია მებოსტნეობის პროგრამაზე და კოლეჯს აქვს შესაძლებლობა მოცემული პროგრამის სწავლის შედეგები სრულად უზრუნველყოს საკუთარ ბაზაზე. კერძოდ, ღია და დახურული გრუნტი საჭიროებს დამუშავებას, სათბურები შეკეთებას და ნიადაგზე სხვა ფიზიკური სამუშაოს შესრულებას. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პირველი დღის ბოლოს, როცა დაწესებულებას გააცნეს ძირითადი მიგნებები, კოლეჯის დირექტორმა მათ სთხოვა, რომ ენახათ მეორე სათბურიც, რომელიც უკეთეს მდგომარეობაში იყო, თუმცა მეორე სათბური დათვალიერებითაც ექსპერტებმა ნახეს, რომ ანალოგიური მდგომარეობა იყო, არცერთი სათბური არ იყო გამართული, რის ფოტომტკიცებულებებიც დასკვნას თან ერთვის. შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, როდის მთავრდება მებოსტნეობის პრორამა, არის თუ არა საშუალება, რომ მათ გაიარონ პრაქტიკული ნაწილი, რაზეც მიიღო პასუხი, რომ პროგრამა თითქმის დასრულებულია, პრაქტიკული შედეგები დადასტურებულია, რისი მტკიცებულებიც ნახეს, სწორედ ამან გამოიწვია ეჭვი, რომ ეს მტკიცებულებები არ არის სანდო. დარგის ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ იმდენად სათბურის კონსტრუქციას არა აქვს მნიშვნელობა, ეს შეიძლება იყოს მარტივი კონსტრუქციის სათბური, სასწავლო მიზნებისთვის გამოსადეგი, მთავარია იქ კლიმატის კონტროლი ხდებოდეს, თუმცა საერთოდ რომ არც ყოფილიყო სათბური, ღია გრუნტშიც შეიძლებოდა მოეწყოთ მიწის ნაკვეთი, სადაც ბოსტანი იქნებოდა პრაქტიკული სწავლებისთვის.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ როცა სათბურის ტენდერისთვის ამზადებდნენ დოკუმენტაციას, ითქვა, რომ ეს კუსტარული სათბურია და ჩავარდა ტენდერი, შეიძლება ღია გრუნტშიც სწავლების განხორციელება, პროგრამა მთავდრება ოქტომბერში და სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკული სწავლება.

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ წარმოადგინა სათბურის ფოტოკოლაჟი, რომელიც არ არის მუშა მდგომარეობაში.

ექსპერტმა აღიშნა, რომ ორ თვეში ვერ იქნება უზრუნველყოფილი შეფასების სისტემის ვალიდურობა, ამ ვადაში შესაძლებელია მოცემული ამოცანის შესრულებისათვის აქტივობათა დაგეგმვა და ნაწილის შესრულება, მათ შორის შესაძლებელია პროგრამის განხორცილებაში ჩართული პერსონალის ტრენინგის ჩატარება შეფასების სიტემაში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ არასათანადოდაა ფორმულირებული მოცემული აქტივობა, ვინაიდან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი არის ვალიდური შეფასების სისტემის არსებობა, აღნიშნული არ წარმოადგენს კონკრეტულ აქტივობას, არამედ ეს არის უწყვეტი პროცესი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას აძლევს კოლეჯს, სათანადოდ იქნას გაანალიზებული მოცემული კომპონენტი და მისი მნიშვნელობა, ხოლო აქტივობის შესრულების დაწყებისა და შუალედური შედეგების იდენტიფიცირებისათვის გამოიყენოს ავტორიზაციის სტანდარტებთან მეტწილი შესაბამისობისთვის ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული ვადა: 6 თვე.

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით პოზიცია გამოთქვა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ერთობლივად იმუშავა დასკვნის შედგენაზე და ეთანხმება დასკვნაში აღწერილს. მისი მხრიდან აღინიშნა, რომ სამწუხაროდ, სასწავლო პროცესი პრაქტიკის კომპონენტის გარეშე ხორციელდებოდა დაწესებულებაში. ამას ადასტურებს გარემოს ვიზუალური დათვალიერებაც. მან აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით, არის განსაზღვრული ორი თვე, რაც მისი აზრით, აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად არ არის საკმარისი, თუმცა ექვს თვეში არის შესაძლებელი ამ პრობლემების გადაწყვეტა, თუ ამის მზაობა იქნება დაწესებულების მხრიდან.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა**

ექსპერტი თინა შელია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური, პროგრამა ხორციელდება სამ ლოკაციაზე, მოთხოვნილი კვოტა ლოკაციებზე განსხვავებულია: მცხეთა - 30, სტეფანწმინდა -20, თიანეთი - 20. რაც შეეხება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას, ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ აქ განიხილა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კოლეჯის მისიასთან თავსებადობა, ასევე, იხელმძღვანელა შრომის ბაზრის ანალიზით. კერძოდ, კვლევა ჩატარდა მცხეთა-თიანეთის რეგიონში. გამოკითხულ იქნა 16 ორგანიზაცია, რომელთა უმეტესობამაც დაასახელა ბუღალტრისა და ბუღალტრის თანაშემწის პოზიციებზე კადრების დეფიციტი. ასევე, მცხეთის ლოკაციაზე გამართულ ღია კარის დღეზე ჩატარებულ იქნა გამოკითხვა. შესაბამისად, მცხეთის მოსახლეობამ აღნიშნა პროგრამის განხორცილების მიზანშეწონილობა.
ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი სტუდენტების პირადი საქმეები, ასევე ეს სტუდენტები გადამოწმდნენ პროფესიული განათლების სისტემაში. ამ მხრივ დაწესებულება შესაბამისია და კანონმდებლობის მოთხოვნებს არ არღვევს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროფესიულ მასწავლებლებს. მცხეთაში 21 პროფესიულ მასწავლებელთან იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, აქედან 16 არის ზოგადი მოდულის განმახორციელებელი, ხოლო 5 - პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი. მათი კომპეტენცია დადასტურდა შესაბამისი კვალიფიკაციის დოკუმენტითა და წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელებს სამივე ლოკაციაზე, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორცილების პროცესში.
პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტმა წარმოადგინა ფოტოკოლაჟი აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მეფუტკრეობა**

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორცილების ფორმაა მოდულური, აღნიშნული ხორცილედება მცხეთასა და თიანეთში, მოთხოვნილი კვოტა არის: მცხეთა - 30, თიანეთი - 20.
2.2.1.1. მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულება ვერ ახორცილებს ორ სწავლის შედეგს: ფუტკრის შხამის მიღება (რადგან არ აქვთ შხამის ასაღები აპარატი) და მერქნის დამუშავება (რადგან არ აქვთ სადურგლო სახელოსნო, იარაღები განთავსებულია დახურულ ოთახში, სადაც ვერ მოხდება მისი გამოყენება). აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტმა ასევე წარმოადგინა ფოტოკოლაჟი. აღინიშნა, რომ სტუდენტებთან განხორციელდა ინტერვიურება.
დარგის ექსპერტმა აღნიშნული პროგრამის განხორცილების პროცესი დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კომპეტენტური პირი და კარგად ფლობს პროცესს.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ხის მხატვრული დამუშავება**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური, განხორციელების ადგილი - მცხეთა, ხოლო მოთხოვნილი კვოტა - 30.
2.1.1.5 კომპონენტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს და ამ საკითხთან მიმართებით ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია. კერძოდ, რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ხის მხატვრული დამუშავება" დაემატოს ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით შემოთავაზებული ორი არჩევითი მოდულიდან ერთ-ერთი მაინც - „იატაკის მოწყობა" - 4 კრედიტი ან „ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება" - 7 კრედიტი. მოდულის დამატება პროფესიულ სტუდენტს შესძენს მეტ კომპეტენციას, რაც მათი დასაქმების შესაძლებლობას გაზრდის.
**განმავითარებელი რეკომენდაცია:**
გაიცა 2.4.2.2. კომპონენტთან მიმართებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს, თუმცა რეკომენდებულია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, დაწესებულებამ სწორად შეაფასოს რისკები და გონივრულ ვადებში განახორციელოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რადგან კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვერიფიკაციის გეგმაში აღნიშნული პროგრამა მითითებული არ იყო, ხოლო ინტერვიურებისას დაწესებულებამ განაცხადა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განახორციელებდა მოცემული პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.
ექსპერტმა, ასევე, წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის ფოტოკოლაჟი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა**
პრეზენტაცია გააგრძელა ექსპერტთა მეორე ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა მეგრელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური, სწავლება ხორცილდება მცხეთისა და სტეფანწმინდის ლოკაციაზე, მოთხოვნილი კვოტა მცხეთაში -30, სტეფანწმინდაში - 20. მან აღნიშნა, რომ 2.2.1.1. შეფასდა მეტწილად შესაბამისად, დაწესებულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ შესაბამის სასწავლო გარემოს მატერიალური რესურსებით, კერძოდ, C სასწავლო გარემოში განთავსდება 220/380V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორცილედება სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა და დაკონკრეტდება პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.4.1.3. შეფასდა მეტწილად შესაბამისად, დაწესებულება „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით" დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ, C სასწავლო გარემოში განთავსდება 220/380V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება, განხორცილედება სასწავლო გარემოს CAD პროგრამით უზრუნველყოფა. აქტივობის შესრულების პერიოდია 2 თვე.
საინჟინრო ხაზვის მოდულის სწავლებისათვის ადამიანური და მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა/გაუმჯობესება (2.4.1.3. ინდიკატორი) აქტივობის შესრულების პერიოდია 2 თვე.
ექსპერტმა თაბუკა ციმინტიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი იყო შესაბამისობის გეგმა, ასევე აყვანილი ჰყავდათ ადამიანური რესურსიც, რომელსაც ჰქონდა CAD პროგრამული უზრუნველყოფის გამოცდილება. ვერიფიკაციის ანგარიში არ ჰქონდათ წარმოდგენილი და ესეც ასახული ჰქონდათ შესაბამისობის გეგმაში, ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის ფოტოკოლაჟი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ღონისძიების ორგანიზება**

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ ხორციელდება მოდულური და ინტეგრირებული ფორმით, განხორციელების ლოკაცია არის მცხეთა, მოთხოვნილი კვოტა მოდულურზე - 30, ინტეგრირებულზე - 15.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2.1.7. დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ამ მხრივ ექსპერტთა მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ: რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების სახეები, ოდენობები, რენტაბელობის ზღვარი და ამ ანალიზის მიხედვით, იმგვარად უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომ საფრთხე არ შეექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ასევე პროფესიულ სტუდენტებს სრულად ჰქონდეთ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკმარისი რესურსი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებული პროგრამისთვის არის 13 პროფესიული სტუდენტი, ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 15-ს, ხოლო არაინტეგრირებულისათვის რენტაბელობის ზღვარი და ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ერთიდაიგივეა, ვინაიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი მაღალია, რიგ შემთხვევაში არც არის განსაზღვრული. დაწესებულებას მოუწევს დამატებითი რესურსების მობილიზება პროგრამის მდგრადი განხორციელებისათვის.
ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა პროგრამის მატერიალური რესურსის ფოტოკოლაჟი, ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პირებს უდასტურდებოდათ კომპეტენცია.
ექსპერტი ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ამ პროგრამზე მიღება პირველად განხორცილდა. აღნიშნული პროგრამა ყველა მიმართულებით შემოწმდა. მან აღნიშნა, რომ გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პირებს: სულ ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, საიდანაც 11 არის ზოგადი მოდულების განმახორცილებელი, 5 - პროფესიული მოდულების, 8 -პროფესიული განათლების მასწავლებელი ინტეგრირებული მოდულების მიმართულებით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება**
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ პროგრამა ხორცილედება დუალური ფორმით, განხორციელების ადგილი არის მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი, მოთხოვნილი კვოტა კი - 15. მისი მხრიდან აღინიშნა, რომ 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, თუმცა ამ მხრივ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** პერსონალი პერიოდულად გადამზადდეს სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით. პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტმა წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის მატერიალური რესურსის ფოტოკოლაჟი.
დარგის ექსპერტი, ეკატერინე ნანობაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პროგრმის განხორცილების პროცესი დადებითად შეაფასა. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, როგორც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, ის პროფესიით არის ზოოინჟინერი, თუმცა მას გავლილი აქვს ერთწლიანი გადამზადების პროგრამა და ასევე აქვს გამოცდილება სტუდენტებთან მუშაობის.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სამკერვალო წარმოება**
პროგრამის განხორცილების ფორმა არის მოდულური, განხორცილების ადგილი სოფელი წინამძღვრიანთკარი, მოთხოვნილი კვოტა კი არის 30.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო

საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ მემორანდუმს არ ერთვის პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნუსხა, რაც დადასტურებული იქნება პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის ხელმოწერით და იდენტიფიცირებული იქნება პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის მოცემული რესურსის გამოყენების თაობაზე.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა აღნიშნული პროგრამისთვის ფოტოკოლაჟი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია. კერძოდ. რეკომენდებულია, გადაიხედოს შეფასების ინსტრუმენტები და დაზუსტდეს შეფასების საკითხები, შეფასების დრო. მათ შორის, მოდულის „ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება“ შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით. მოდულის 5 სწავლის შედეგი ფასდება ერთად, რისთვისაც დათმობილია 7 საათი მოცემული დატვირთვა პროფესიული სტუდენტის შეფასებისთვის არარელევანტურია (ზედმეტად ხანგრძლივია) ვინაიდან მოდულის სწავლის შედეგების შინაარსი შესაძლებლობას იძლევა შეფასება განხორციელდეს ცალ-ცალკე, მათ გასცეს რეკომენდაცია სულ მცირე ორ ნაწილად დაიგეგმოს მოდულის ხუთივე სწავლის შედეგის შეფასება.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 2.4.1.5. კომპონენტი დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:**
რეკომენდებულია, დაწესებულებამ დამატებით შეისწავლოს პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი და უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, კომპანიის წარმოამდგენელმა განმარტა საწარმოს მუშაობის პრინციპი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საწარმო მუშაობს კონვეიერული სისტემით და სამუშაოც განაწილებულია შესასრულებელი ოპერაციების მიხედვით. კოლეჯის სტუდენტები კი მუშაობენ მარტივი დეტალების შეერთებაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ეს პროცესი იწვევს კერვის მოტივაციის დაქვეითებას. სტუდენტების შეფასებით, უმჯობესია საწარმო პრაქტიკა „სამკერვალო წარმოების“ სტუდენტებმა კოლეჯში გაიარონ, მით უმეტეს, რომ კოლეჯს კეთილმოწყობილი თანამედროვე მატერიალური რესურსით აღჭურვილი სამკერვალო სახელოსნო აქვს.
ასევე, მან წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის ფოტოკოლაჟი.
დარგის ექსპერტი მარიამ გელდიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 16 ზოგადი და სამი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი.
ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ დაუსვა კითხვა დარგის ექსპერტს, რითია განპირობებული პროგრამაზე მცირე კონტიგენტი.
დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ აღნიშნული კოლეჯის მდებარეობით არის განპირობებული.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - რძის პროდუქტების წარმოება**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების მიდგომაა - დუალური, განხორციელების ლოკაცია არის სოფელი წინამძღვრიანთკარი და დაბა თიანეთი. მოთხოვნილი კვოტა მცხეთაში - 15, ხოლო თიანეთში - 10.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, თუმცა რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელმა გაიაროს შესაბამის აკრედიტებულ ორგანოებში გადამზადების კურსი სურსათის უვნებლობის სფეროში.
2.4.1.6. დაკამყოფილებულია, რადგან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა ამ მიმართულებით ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ: რეკომენდებულია, „სტუდენტის დღიურს" დაემატოს ცალკე, უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟის ჩატარების ნაწილი, სადაც სტუდენტები შეიტანენ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თემას და ხელმოწერით დაადასტურებენ უსაფრთხოების წესების გაცნობას თარიღების მიხედვით.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რძის პროდუქტების წარმოება" ფოტოკოლაჟი.

**პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამა - მევენახეობა და მეღვინეობა**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის დუალური. განხორცილების ლოკაცია - მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი. ხოლო მოთხოვნილი კვოტა - 30.
2.1.1.4 კომპონენტთან მიმართებით დაკმაყოფილებულია, საკვალიფიკაციო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:**
რეკომენდებულია, სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს თანამედროვე სამეცნიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურა, მით უმეტეს, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკაში მოიპოვება მსგავსი საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა დასვა კითხვა, თუ როდიდან ხორცილედება აღნიშნული პროგრამა და რატომ ჰყავს მხოლოდ ორი კურსდამთავრებული.
დარგის ექსპერტმა მას უპასუხა, რომ ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კოვიდპანდემიით იყო გამოწვეული და სტუდენტები ვერ ახერხებდნენ ადგილზე დასწრებოდნენ სწავლების პროცესს.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა ასევე დასვა კითხვა, თუ დაინტერესდა დარგის ექსპერტი, რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა, რამდენმა დაძლია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ უპასუხა მარიამ ჩაგელიშვილის კითხვას და აღნიშნა, რომ 2016 წელს პროგრამა მეღვინეობა-მევენახეობა არსებობდა და ჩაირიცხა 11 პროფესიული სტუდენტი, 9 სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი და ორმა დაასრულა.
2.4.1.1. დაკამყოფილებულია. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, რეკომენდებულია, კოლეჯმა მეტი ყურადღება დაუთმოს საწარმოო ობიექტების თანამშრომლობისა და პროფესიული სტუდენტების სწავლების პროცესს, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ პროფესიული სტუდენტი ნაკლებად ფლობდა ინფორმაციას, თუ რა დრო უნდა გაატაროს სასწავლო საწარმოში, სასწავლო გეგმის შესაბამისად, საათების განაწილების მიხედვით, ვინაიდან ექსპერტებს მხოლოდ ერთ პროფესიულ სტუდენტთან მიეცათ გასაუბრების შესაძლებლობა, მოცემული გარემოების განზოგადება ნაკლებადაა შესაძლებელი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია, კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს მასალა-ნედლეულის რაოდენობა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის

შესაბამისად, ასევე, ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას სრულფასოვნად შეაფასოს საკუთარი რესურსები, მათ შორის რაოდენობრივი მაჩვენებლები და კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა.
კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა ემთხვევა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს, მოდულებში სასწავლო რესურსის სახით მითითებულია როგორც სახელმძღვანლოები, ისე ვიდეო რგოლები.
ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ „მევენახეობა და მეღვინეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
იქვე აღინიშნა, რომ კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „მევენახეობა და მეღვინეობა" თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში / Higher Vocational Qualification in Viticulture and Winemaking, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა" ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული მოდულები; სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია კოლეჯში და საწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები, მატერიალური რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.
სასწავლო გეგმას და მოდულებში დაცულია დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს
ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია: რეკომენდებულია, დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი გამოყენებული იქნას დანიშნულებისამებრ, ხოლო რესურსის ნაწილი, რომელიც იმდენადაა შელახული, რომ უვარგისია გამოსაყენებლად, ამოღებულ იქნეს ხმარებიდან და განახლდეს.
ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. ასევე, რეკომენდებულია დაწესებულებამ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება პროგრამის განმახორციელებელთა საჭიროების განსაზღვრისას. „მევენახეობა და მეღვინეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთავის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, თუმცა გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროგრამის ხელმძღვანელი სრულფასოვნად ჩაერთოს პროგრამის განხორციელების პროცესში, სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ.
ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
ინდიკატორი 2.3.1.2 შეფასდა, როგორც დაკმაყოფილებულია. კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა, რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა"-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა ვალდებული დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ვეტერინარია**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის განხორცილების ფორმაა დუალური, ლოკაცია - მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი. მოთხოვნილი კვოტა-15, ექსპერტმა წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის ფოტოკოლაჟი.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 2.1.1.1 კომპონენტი დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომედებულია, კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას შეისწავლოს ისეთი ასპექტები, როგორიცაა პროგრამის გახორციელების მიზანშეწონილობა კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობა.
2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილებაუზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ ტექნიკური უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისობის გეგმით დადგენილი ვადების გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადახედოს შიდა მარეგულირებელ აქტებს და ამ აქტების დებულებები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში
ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია, კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას სრულფასოვნად შეაფასოს საკუთარი რესურსები, მათ შორის რაოდენობრივი მაჩვენებლები და კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას,ასევე აღინიშნა,რომ 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
2.1.1.7 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის

„ვეტერინარია“ ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის, მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების ფორმა (დუალური). პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები; სავალდებულო პროფესიული და კლინიკური სწავლების მოდულები; სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო საწარმოში მისაღწევ სწავლის შედეგებს, მატერიალური რესურსი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმას და მოდულებში დაცულია დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.
2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაზუსტდეს ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადები. რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ვეტერინარია“, მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით დასტურდება ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერებითა და შერჩევითი პრინციპით რამდენიმე რესურსის გადამოწმების შედეგით. ამასთან, პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის ელ.ფოსტაზე გაგზავნის გზით. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო რესურსების სარგებლობის ფაქტი, წიგნადი ფონდის მოძრაობის სტატისტიკა. განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის კმაყოფილება და საბიბლიოთეკო სერვისების ხელმისაწვდომობა.

2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა, რეკომენდებულია „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული) შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა“-ში გაიწეროს რა შემთხვევაში ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რა ტიპის ცვლილებების განხორციელების დროსაა ვალდებული დაწესებულება აღნიშნული აცნობოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და რა ვადაში, რა ვალდებულება აქვს დაწესებულებას დუალურ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში როგორ იქცევა დაწესებულება, იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის
2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N04-152 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებეული წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სხვა საკითხების შესახებ.
2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია.
2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა,რომ 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. ასევე, 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/

სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით
პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტმა ისაუბრა იმაზზე,რომ 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, ასევე, ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, ამავდროულად ისიც აღინიშნა,რომ 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებას. 2.4.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**საკითხის მოცულობის გათვალისწინებით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილის განხილვა გადაიდო შემდეგი საბჭოს სხდომისთვის, რომელიც გაიმართა 14.09.2022 14:00 სთ.-ზე.**

**საბჭოს სხდომა დასრულდა 17:50 სთ.-ზე.**

**სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გაგრძელდა 2022 წლის14 სექტემბერს. სხდომა წარიმართა ონლაინ პლატფორმაზე.**

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.**

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს შეახსენა, რომ საბჭო აგრძელებდა სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვას, კერძოდ, ექსპერტები აგრძელებდნენ პროგრამების შეფასებების პრეზენტაციას, საკითხის დასრულების შემდეგ განხილული იქნებოდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგის საკითხი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - თმის მომსახურება**
ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური, ხორციელდება მცხეთის ლოკაციაზე, მოთხოვნილი ქვოტა კი არის 30. მისი

მხრიდან აღინიშნა, რომ 2.1.1.4. და 2.2.1.5. სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისიწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნული პროგრამისთვის წარმოადგინა ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ისინი ადგილზე სწავლების პროცესსაც დაესწრნენ, ასევე ინტერვიურება განახორციელეს სტუდენტებთანაც. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა **განმავი თარებელი რეკომენდაცია:**

რეკომენდებულია მოდულების - თმის ღებვა, თმის ქიმიური დამუშავება და სპა პროცედურების სწავლის შედეგების მიღწევისთვის დამატებით გამოიყენოს სასწავლო მასალების კრებული - ე.წ. „რიდერი“, რომელთა შემუშავებისას გამოიყენებს დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის ობიექტს. მისი თქმით, პრაქტიკის ობიექტი, ვისთანაც მათ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება, იყო სალონის ხელმძღვანელი და სასწავლო მოდულის განმახორციელებელი პირი. მასთან განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიურება. ამ მხრივ ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფრსიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისიწინებით, თუმცა როგორც პრეზენტაციის ფარგლებში აღინიშნა, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის გაწერილი, რომელი მოდული ან სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, შესაბამისად, მემორანდუმებს არ ერთვის პრაქტიკის ობიექტზე დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნუსხა, რაც დადასტურებული იქნება პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის ხელმოწერით და დასტურდება პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის მოცემული რესურსის გამოყენების თაობაზე. იქვე აღინიშნა, რომ 2.4.1.1. მიმართებითაც გაიაცა **განმავითარ ებელი რეკომენდაცია**

2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.პროგრამა ხორცილედება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიცვალოს მოდულების სწავლების თანმიმდევრობა, კერძოდ: მოდულები „თმის სპა პროცედურები“ და „თმის ვარცხნილობები“ წარიმართოს დასაწყისში, ხოლო „თმის ქიმიური დამუშავება“ გადავიდეს ბოლოსკენ. „საწარმოო პრაქტიკა-თმის მომსახურება“ უნდა უსწრებდეს მოდულს „პრაქტიკული პროექტი-თმის მომსახურება“, რადგან პრაქტიკული პროექტი ერთგვარი შემაჯამებელი მოდულია.

დარგის ექსპერტი ნინო ბოკუჩავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნული პროგრამა დადებითად შეაფასა და აღნიშან, რომ პროგრამა გამოირჩევა როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსით.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგი მიიღწა როგორც ადგილზე, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დარგის ექსპერტს, რას შეიძლებოდა გამოეწვია ის, რომ აღნიშნულ პროგრამას 2020 წელს ჰყავდა 2 კურსდამთავრებული და წელს კვოტა არის 30, ხოლო აქტიური სტუდენტი 12. ეს კლებაა, თუ იმთავითვე არასწორი იყო 30 კვოტის მოთხოვნა.

დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ საპასუხოდ აღნიშნა, რომ რეგიონისთვის აღნიშნული კვოტა არის მაღალი, ასევე შესაძლოა პროგრამას სჭირდება მეტი პოპულარიზაცია მოსახლეობაში.

დაწესებულების დირექტორმა კვოტასთან დაკავშირებით გამოთქვა პოზიცია და აღნიშნა, რომ კვოტა 30 იყო მაშინ, როდესაც მიღება იყო ორ ეტაპად და ის აღნიშნული კვოტებია დარჩენილი. ახლა კი 5 კაციანი ჯგუფები ყალიდება, ხოლო მუნიციპალიტეტებში - 10 კაციანი, სადაც კვოტა იყო 20.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება**

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამისთვის განხორციელების ფორმა მცხეთის ლოკაციაზე არის, როგორც მოდულური, ასევე ინტეგრირებული, ხოლო სტეფანწმინდაში - დუალური. მცხეთის ბაზაზე მოთხოვნილი კვოტა არის 30, მათ შორის 15 - ინტეგრირებულზე, ხოლო სტეფანწმინდის ლოკაციაზე მოთხოვნილი კვოტა არის 10.

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ 2.2.1.2. კომპონენტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების მდგრადობას, თუმცა ამ მხრივ ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

რეკომენდებულია, დაწესებულებამ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება პროგრამის განხორცილების საჭიროების განსაზღვრისას, ამასთან, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ საკუთარ დოკუმენტში მიუთითოს რელევანტური ინფორმაცია, კერძოდ: დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთების დოკუმენტში, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს თვითშეფასების დანართს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობად დაწესებელებას მითითებული აქვს 28, ხოლო ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილია 36 პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ 2.2.1.3. კომპონენტი დაკმაყოფილებულია, ვინაიდან პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთა შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა ამ მხრივ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

რეკომენდებულია, პერსონალი პერიოდულად გადამზადდეს მომსახურების სფეროში არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა ბიუჯეტთან დაკავშირებით, კერძოდ: 2.2..1.7. ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების მდგრადობა.

ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებული პროგრამისთვის არის 12 პროფესიული სტუდენტი. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 15-ს, ხოლო არაინტეგრირებულებისათვის 13-ს. ამ შემთხვევაშიც ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 15-ს, ვინაიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი მაღალია, დაწესებულებას მოუწევს დამატებითი რესურსების მობილიზება პროგრამის მდგრადი განხორცილებისათვის, ამასთან საყურადღებოა, რომ არაინტეგრირებულ პროგრამაზე დაწესებულების აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 12-ს (2021 წელს ჩარიცხულია 13 პროფესიული სტუდენტი), ამდენად ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების სახეები, ოდენობები, რენტაბელობის ზღვარი და ამ ანალიზის მიხედვით იმგვარად უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებელო პროგრამის განხორციელება, რომ საფრთხე არ შეექმნას პროფესიული საგანმანათლელბო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ასევე პროფესიულ სტუდენტებს სრულად ჰქონდეთ პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო საკმარისი რესურსი.

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ საბჭოს მიმდინარეობისას ასევე ისაუბრა 2.4.1.5. ქვესტანდარტზე და აღნიშნა, რომ დაკმაყოფილებულია. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთნა/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. ამ მხრივ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

რეკომენდებულია, კოლეჯმა გაზარდოს პარტნიორი დაწესებულებების რიცხვი, მათ შორის, ითანამშრომლოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასტუმროებთან, რითაც ხელს შეუწყობს მოცემული პროგრამის კურსდამთავრებელთა დასაქმებას.

პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ 2.4.2.1 დაკამყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, თუმცა გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:**

პროფესიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტებში შესაფასებელი საკითხები სრულად ფარავდეს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტთა პორთფოლიოების შერჩევით შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში შეფასების ინსტრუმენტი საჭიროებს გაუმჯობესებას, მათ შორის მწირია შესაფასებელი საკითხები. რეკომენდებულია, პროფესიული მოდულების შეფასების ინსტრუმენტებში შესაფასებელი საკითხები სრულად ფარავდეს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგს.

ექსპერტმა ასევე წარმოადგინა ფოტომასალა აღნიშნული პროგრამისთვის.

სტეფანწმინდის ლოკაციაზე აღნიშნული პროგრამის განხორცილების მიმდინარეობაზე ისაუბრა ექსპერტმა თაბუკა ციმინტიამ და მიმდინარე პროცესი დადებითად შეაფასა, ასევე აღნიშნა, რომ ჰყავს ოთხი დარგობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, ასევე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ორ კომპანიასთან, სადაც ახორციელებს დუალურ პროგრამას. აღინიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებთან ამავე დროს მოხდა სტუდენტებთან გასაუბრებაც.

დარგის ექსპერტი იზაბელა ფერიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგაოდებას და აღნიშნა, რომ რეკომენდებულია, პედაგოგები დროდადრო გადამზადნენ, რათა აიმაღლონ დარგობრივი უნარები. დარგის ექსპერტმა მიმდინარე სასწავლო პროცესი დადებითად შეაფასა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კულინარიის ხელოვნება**

ექსპერტმა შორენა ხუბუნაიამ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორცილების ფორმა არის დუალური, ლოკაცია - მცხეთა, ხოლო მოთხოვნილი კვოტა კი - 15.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელშეკრულებების გაფორმებისას მოქმედების ვადები ზუსტად განსაზღვროს, რადგან წარმოდგენილ ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ხელშეკრულება მოქმედებს ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განმარტეს, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში მითითებულ ავტორიზაციის ვადაში იგულისხმება რეავტორიზაციის შემდგომი ვადა.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნული პროგრამისთვის წარმოადგინა ფოტომასალა.

დარგის ექსპერტი გენადი კვერენჩხილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დააფიქსირა პოზიცია აღნიშნული პროგრამის მიმდიანრეობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ისინი ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტებზე პასუხისმგებელ პირებს, რომ

პროგრამის განმახორციელებელი პირი არის კომპეტენციის მქონე. მონიტორინგის ფარგლებში ისინი ასევე გაესაუბრნენ სტუდენტებს და დაუსვეს კითხვები პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში მან პროგრამის მიმდინარეობა დადებითად შეაფასა.
საბჭოს წევრმა მაგდა ბოლოთაშვილმა დასვა კითხვა, შედეგების რა პროცენტი მიიღწევა პარტნიორ ორგანიზაციებში. დარგის ექსპერტმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ კონკრეტული სწავლის შედეგები ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე მიიღწევა.
საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა დასვა კითხვა, როდესაც მონიტორინგის ჯგუფი იყო გასაუბრებაზე, უკვე იყო თუ არა ჩატარებული შუალედური შეფასება. თუ იყო, რა შედეგი დაფიქსირდა, რა დასკვნების გაკეთება შეძლო დაწესებულებამ და შემდგომ რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავენ ამ მიმართულებით.
დარგის ექსპერტმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ მართალია ისინი გაესაუბრნენ სტუდენტებს, მაგრამ მას არ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენმა მიიღო შუალედური შეფასება.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან ციხისელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ცენტრი ესწრებოდა შუალედური შეფასების პროცესს დამკვირვებლის სტატუსით, თუმცა ის შეფასება, რაც საბჭოზე დაიდო, რადიკალურად განსხვავდება სტუდენტთა შუალედური შეფასების შედეგებისგან, მათ შორის აქტიური სტუდენტების რაოდენობის მხრივ.
საბჭოს წევრებმა მაგდა ბოლათაშვილმა, მარიამ ჩაგელიშვილმა და ნატა კვაჭანტირაძემ აღნიშნეს, რომ იცნობდენ შუალედური შეფასების შედეგებს, რადგან მათი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული დუალური პროგრამების განხორციელების მხარდაჭერის ნაწილში. შესაბამისად, შეუალედური შეფასების შედეგები წინააღმდეგობაში მოდის ესპერტის მიერ ასახულ გარემოებასთან. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს დუალური პროგრამების განხორციელების ხარისხის სიღრმისეული შეფასება, რათა რეალური სურათი ნათლად იქნას წარმოდგენილი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აგრომექანიზაცია**
ექსპერტი ირმა მეგრელიძე მიესალმა დამსწრე საზოგაოდებას და წარადგინა აგრომექანიზაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
მან პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ პროგრამას დაწესელებულება იმატებს წინამძღვრიანთკარის ლოკაციაზე. განხორცილების ფორმა არის როგორც მოდულური, ასევე ინტეგრირებული, ხოლო მოთხოვნილი კვოტა - 30, მათ შორის 15 - ინტეგრირებულზე.
ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა აღნიშნული პროგრამისთვის ფოტომასალა. ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. როგორც აღინიშნა, მათთან მოხდა სატელეფონო გასაუბრება, ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელსაც და მისი კომპეტენცია დადებითად შეაფასეს.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მეხილეობა**
ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორცილების ფორმა მცხეთის ლოკაციაზე არის მოდულური და ინტეგრირებული, სადაც კვოტა არის 30, მათ შორის ინტეგრირებული - 15, ხოლო თიანეთში განხორცილების ფორმა არის დუალური, სადაც კვოტა არის 10 და ინტეგრირებული, სადაც კვოტა 5 არის განსაზღვრული.
ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ხეხილის ბაღი, თუმცა მათი ვიზიტის დროს ეს ბაღი იყო მოუწესრიგებელი, შესაბამისად, 2.4.1.3. კომპონენტი შეფასდა მეტწილად შეასაბამისად და ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია.**
დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს უნიკალური ხეხილის ბაღის მოვლა-პატრონობა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მრავალფეროვანი ხეხილის ბაღი, პარალელურად პრეზენტაციის ფარგლებში საბჭოს წარედგინა ფოტომასალა აღნიშნული პროგრამისთვის.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ვეგეტაციის პერიოდში ხეხილის ბაღში არ შეინიშნებოდა აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ჩატარების კვალი, ასევე სწავლის შედეგების 51%-ზე მეტი გატანილია პრაქტიკის ობიექტზეზე, გაფორმებულია ორი ხელშეკრულება და სატელეფონო გასაუბრებისას გაირკვა, რომ პრაქტიკის ობიექტის წარმოამდგენლები არ ეთანხმებიან სასწავლო პროცესში ჩართულობას, ისინი არ აპირებენ დაწესებულებასთან თანამშრომლობის გაგრძელებას ამ კუთხით. აღსანიშნავია ის, რომ ამ საკითხთთან დაკავშირებით არ იყო ინფორმირებული სასწავლო პროცესების მენეჯერი.
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შესაბამისობის რეკომენდაცია ასევე გაიცა 2.4.1.5. -თან მიმართებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ვინაიდან გასაფორმებელია ახალი მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ასევე 2.2.1.1. შეფასდა მეტწილად შესაბამისად, სრულად არ არის დაკმაყოფილებული პროგრამით გათვალისიწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულების ან პარტნიორი ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სატყეო საქმე**

ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური, განხორცილების ადგილები არის მცხეთა და თიანეთი, მცხეთაში კვოტა არის 30, ხოლო თიანეთში - 20. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ 2.2.2.1 და 2.2.1.4. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**
2.2.2.1 და 2.2.1.4. შეფასდა მეტწილად შესაბამისად. რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გადახედოს და განაახლოს სასწავლო რესურსი, ასევე მოდულებში შეიტანოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად დამატებით გააფორმოს ხელშეკრულება/მემორანდუმი მავნებელი დაავადებების და ტყის აღდგენის პროფილურ დაწესებულებებთან ადგილზე განთავსდეს ან უზრუნველყოფილ იქნეს სწავლების შესაფერის კონკრეტულ პერიოდში ადგილზე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მოდულში მითითებული ყველა ტექნიკური რესურსი.
ექსპერტმა ლევან მადათოვმა თიანეთის ლოკაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე შეუსაბამობა იყო დადგენილი, ხოლო შემდეგ მეტწილ შესაბამისობაში გადავიდა, ნაწილი აღჭურვილობისა არ იყო განთავსებული ლოკაციაზე, აღნიშნული აღჭურვილობა კი აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად. მეორე რეკომენდაციაში კი საუბარი იყო მემორანდუმების გაფართოებაზე.
პრეზენტაციის ფარგლებში ექსპერტებმა წარმოადგინეს ფოტომასალა აღნიშნული პროგრამისთვის.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები**

ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორცილების ფორმა მცხეთის ლოკაციაზე არის როგორც მოდულური, ასევე ინტეგრირებული. მოთხოვნილი კვოტა არის 30, მათ შორის ინტეგრირებულზე - 15, ხოლო თიანეთის ლოკაციაზე პროგრამის განხორცილების ფორმა არის როგორც მოდულური ასევე ინტეგრირებული, სადაც მოდულურზე მოთხოვნილი კვოტა არის 20, მათ შორის ინტეგრირებულზე - 10.
ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, თუმცა ამ მხრივ ექსპერტთა მხრივ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**

რეკომენდებულია, პერსონალი პერიოდულად გადამზადდეს შესაბამის სფეროში არსებული სიახლეებისა და მიდგომების გაცნობის მიზნით.
ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ პრეზენტაციის ფარგლებში აღნიშნა, რომ 2.4.2.1 კომპონენტი დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ იზრუნოს შეფასების ინსტრუმენტების დახვეწაზე.
დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკნაძემ აღნიშნა, რომ ისინი იმყოფებოდნენ ორივე ლოკაციაზე და მისთვის თვალშისაცემი იყო, რომ კვოტის განსაზღვრის დროს სასწავლო პროცესი გათვალისწინებული იყო ერთ ცვლაში, მათი ვიზიტის დროს ეს შეიცვალა და გადავიდნენ ორ ცვლაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მცხეთის ლოკაციაზე ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით ხარვეზი არ ყოფილა. რაც შეეხება თიანეთის ლოკაციას, აქ ახალი ტექნიკური აღჭურვილობა იყო შეძენილი, აღნიშნულ პროგრამისთვის არ იყო ანტისტატიკური ხალიჩა, თუმცა აღნიშნული შეძენილი იყო სხვა პროგრამისთვის, რომლის სასწავლო სივრცეებიც იყო გვერდიგვერდ და სავსებით შესაძლებელია აღნიშნულის ორივე პროგრამაზე გამოყენება.
ექსპერტებმა პრეზენტაციის ფარგლებში ასევე წარმოადგინეს ფოტომასალა აღნიშნული პროგრამისთვის.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ინფორმაციის ტექნოლოგია**
ექსპერტმა ირმა მეგრელიძემ პროგრამის წარდგენისათვის აღნიშნა, რომ განხორციელების ფორმა არის მოდულური, ხოლო ლოკაცია არის მცხეთა და თიანეთი, მოთხოვნილი კვოტა მცხეთაში არის 30, ხოლო თიანეთში - 20 სტუდენტი.
ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ 2.2.1.3. კომპონენტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომამუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა ამ მხრივ ექსპერტების მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია.**
რეკომენდებულია, პერსონალი პერიოდულად გადამზადდეს შესაბამის სფეროში არსებული სიახლეებისა და მიდგომების გათვალისიწინებით.
ექსპერტმა საბჭოზე აღნიშნა, რომ 2.2.1.7. დაკმაყოფილებულია, რადგან ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების მდგრადობა, ამ მიმართულებით ექსპერტებმა გასცეს **განმავითარებელი რეკომენდაცია.**
რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო შემოსავლებისა და ხარჯების სახეები, ოდენობები, რენტაბლეობის ზღვარი და ამ ანალიზის მიხედვით, იმგვარად უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილება, რომ საფრთხე არ შეექმნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების მდგრადობას, ასევე პროფესიულ სტუდენტებს სრულად ჰქონდეთ პროგრამის განხორცილებისთვის საჭირო საკმარისი რესურსი.
ექსპერტმა იქვე აღნიშნა, რომ 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია, რადგან პროგრამის მიზნებისტვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ იზრუნოს შეფასების ინსტრუმენტის გაუმჯობესებაზე.
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ასევე გაესაუბრნენ სტუდენტებს და წარმოადგინეს აღნიშნული პროგრამის ფოტომასალა.
ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნია სთხოვა დაწესებულების დირექტორს, დაეფიქსირებინა პოზიცია.
კოლეჯის დირექტორი თეიმურაზ ასათიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მათი დაწესებულების ძირითადი პროფილი არის აგრარული, მან ასევე ისაუბრა კოლეჯის შესახებ, კერძოდ, მის მრავლწლიან ისტორიაზე.

მან ისაუბრა მებაღეობის პროგრამასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ მათ შეცვალეს პრაქტიკის ობიექტი.
თეიმურაზ ასათიანმა აღნიშნა, რომ სამეურნეო საქმიანობისთვის დაწესებულებას გააჩნია გარკვეული ინსტრუმენტები, რომელსაც მისი თქმით გაამრავალფეროვნებენ.
პროგრამა აღმზრდელთან მიმართებით, როგორც დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი.
მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მონიტორინგზე იმყოფებოდა ივნისის თვეში, ხოლო აგროტექნიკური სამუშაოები ჩატარდა მაისში.

**საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.**

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა, დიდხანს განიხილავდა ექსპერტთა დასვნებსა და ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენუილ არგუმენტებს, გააჟღერა საბჭოს წევრების პოზიცია, რო უდიდესია საბჭოს მხარდაჭერა ამ უდიდესი ტრადიციების მქონე კოლეჯის მიმართ და იმედოვნებს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება კოლეჯს მისცემს საშუალებას შემდგომი განვითარებისთვის, არსებობს ობიექტური მიზეზების, ყველას ძალისხმევით პროცესი უნდა წავიდეს გაუმჯობესების მიმართულებით. მისი განცხადებით, უმნიშვნელოვანესია, დაწესებულებაში დადგეს მენეჯმენტისა და მართვის სტილის გადახედვის საკითხი.
